№ 73 აპრილი 11, კვირა 1893 აპრილი 11, კვირა № 73

გაზეთი ღირს

თვე	მან.	ს.	თვე	მან.	ს.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თბილისს რედაქციას, ეკუკაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ-ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

ორშაბათს, 12 აპრილს, მეორმოცე დღეს გენერალ-მაიორის **თავად ივანე დავითის ძის ჯამბაკურიანთ—ორბელიანის** გარდაცვალებიდგან. წირვა და პანაშვიდი იქმნება გარდახდილი ქვაშეოთის ეკლესიაში. **ქნეინა ანასტასია დავითის ასული გაბარინისა** აუწყებს ამას ნათესავთა და ნაცნობთა.

წირვა დაიწყება დილის 10 საათს. (1—1)

გარდაიცვალა ქნიაგინა **ეკა რაქელინის ასული ციციშვილისა.** დედა მისი **ქნეინა ნინო, დიდიდედა მაკარინე და დანი იულია და ეკატერინე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გარდაცვალებულის დასაფლავება იქნება 13 აპრილს, სოფელს ზემო-ხვედურეთს (1—1)

„ივერიის" რედაქციისაგან

მოგაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მესწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოგვგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოგვგზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

ქართველთ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ განიზრახა მაისში გამართოს სცენის მოყვარეთათვის.

გამოსაცდელი წარმოდგენა

ვისაც სურს დრამატიულ დასში მონაწილეობის მიღება მომავალ ზამთრის სეზონის დროს, მმართველობა იწვევს თავისი სურვილი წერილით აცოდინოს მაისის პირველამდე და მასთან თავისი სრული ადრესი. რეპეტიციების დრო გამოცხადებული იქმნება «ივერიაში» და «კვალ"ში.» წერილები უნდა წარმოეგზავნოს მმართველობის მდივანს პეტრე იოსების ძეს უმიკაშვილს, ტფილისს, ანჩხატთან, ბაგრატიონის ქუჩა, სახლი ღვინიევისა № 15 Б. (2—2)

ტფილისი, 10 აპრილი

ამ ქამად ურადღება მიიქცია ევროპის მცირე სახელმწიფოებმა. სერბია-ბოლგარიასა და ბელგიაში მომხდარმა ამბებმა სრულიად დაჩრდილა საფრანგეთი, გერმანია, და, ასე გასინჯეთ, თვით ინგლისიც. პანამის გამქვავებული საქმე, გრაფ კარვრეგის სამხედრო კანონი და ირლანდიის ჭომრულიც-კი თითქოს მივიწყეს ამ ხანად გაზეთებმა და ზემო-ხსენებულს სამს პატარა სამეფოებს მიაქციეს თვისი ურადღება.

გუშინდელი დეპეშა რომიდამ გვაუწყებს, რომ პარმის ჭერცოგის სასახლეში იქოროწინა პრინცმა ფერდინად კობურგელმა. ქორწინებას, მრავალ ნათესავთა გარდა, დასწრებია ბოლგარიის პრემიერი სტამბულოვი. ამ ქორწინებით სტამბულოვს აუსრულდა სურვილი — ბოლგარიის სამთავროს უშოვნა დედოფალი. ამას წინად სტამბულოვს ვენაში ჰკითხეს, როგორ არის ბოლგარიის დამოუკიდებლობის საქმეო. ბოლგარიის დამოუკიდებლობის საქვეყნოდ აღიარებას არ ვეჩქარები და სრულიადაც არ მადონებს ეს დგვიანებაო, უპასუხა სტამბულოვმა, ეხლა ჩვენი უპირველესი მეცადინეობა ის არის, რომ ბოლგარიას დედოფალი გუშოვნოთო.

როგორც ჭხედამს მკითხველი, დღეს ბოლგარია გაბედნიერდა, დედოფლად მარია ლუიზა—ბურბონელი ეყოლება და როგორ დამკვიდრდებიან მეფე-დედოფალი ბოლგარიის ტახტზედ, ამას, უეჭველია, თავის დროზე გვიამბობენ გაზეთები.

თითქმის ერთი კვირა გავიდა მას აქედ, რაც სერბიაში მცირე წლოვანმა მეფე ალექსანდრემ სახელდახელო რევოლიუცია მოახდინა, ავსტრიის მომხრე სამინისტრო ავაკუმეოიჩისა დაითხოვა, რეგენტები დაანაპტიმრა შინაურულად, მართვა-გამგეობა სახელმწიფოო საქმეებისა თვითონ იტვირთა და ახალი სამინისტრო დანიშნა დოკიჩის თავ-მჯდომარეობით. ახალი მინისტრები ყველანი რადიკალები არიან და მომხრეობენ რუსეთს. გადაყენებული მინისტრები, ეჭვი არ იყო, არ დასცხრებოდნენ, და მართლაც გუშინდელი დეპეშა ბელგრადიდგან ცხადი ნიშანია იმისი, რომ მდელვარება ამ ქვეყანაში აგრე ადვილად არ დაწყნარდება. ავსტრიის მომხრე ლიბერალთა დეპუტატებს წერილი დაუბეჭდიათ, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ეხლანდელის მართვა-გამგეობისაო და ჩასუხის მგებელი დოკიჩის სამინისტრო იქნება ქვეყნის წინაშეო; ლიბერალთა დასი მოთავეობას ვერ დასთმობს და იმ პროგრამით იმოქმედებს, რომელსაც უმთავრესი კომიტეტი შეიმუშავებსო.

ამ რიხიანის წერილის აზრი ცხადია. დაიწყება პატარა სერბიაში სასტიკი ბრძოლა ორის უმთავრესის დასისა, რომელთა შორის ერთი მომხრეობს ავსტრიას და მეორე—რუსეთს და, ვინ იცის, შესაძლოა პატარა სერბიაში თავისი ძალ-ღონე ამ შინაურს ბრძოლას ზედ შეალიოს და საქვეყნო საქმეებისთვის კი აგრე რიგად ვეღარ იზრუნოს. სერბიის მინა-წყალი ამ გვარად გახდება ორის დიდის სახელმწიფოს ბრძოლის სარბიულად და, ჩვენის აზრით, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს, გამარჯვება სერბიას ძვირად დაუჯდება და დიდად შეაფერხებს მის წინ მსვლელობასა და წარმატებას.

უფრო საკურადღებო ამბები ბელგიიდან მოგვიტანა დეპეშამ. მრავალგან ამბობდა მოხდა, მუშები გაიფიცნენ, მუშობაზედ ხელი აიღეს, პოლიციას, ჯანდარმებს შეებრძოლნენ; დაჭრილი და მოგლეული ორივ მხრივ ბლომად იყო. მეამბოხეთა დასამშვიდებლად ჯარები გამოიწვიეს და ბევრგან გაბრაზებულ და გამწარებულ ხალხსა და ჯარებს შორის შებრძოლებაც მოხდა. ბრძოლაში ჩაერივნენ დედა-კაცებიც და, ასე გაბინჯეთ, ბავშვებიც-კი. ბევრს მათგანს ტყვიამ გაუგმირა გული. აჯანყებულნი ბრძანდებიან და ნუთუ ეხლავე ისე უბედური ხართ, რომ ქმარს უნდა გაეყაროთ?

ქალმა გაიცინა.

— არაო, მიპასუხა, მე ხვალ ვიწერ ჯვარსა.

—

ძლიერ ავად გავხდი. ექიმთან გავგზავნე. არ მოვიდა. ქალაღლსა თამაშობსო, მიპასუხეს. შემეცოდა, რად ვაწუხებ-მეთქი მკურნალსა. დაე, ქალაღლი ითამაშოს; ავდექი და უიმისოდ გარდავიცვალე.

—

დუქანში შევედი.

— სინიდისი ხომ არა გაქვთ გასასყიდი?

— არა ბატონო. 1893 წელს, მართალია, გვქონდა,—ერთის ადგოკატისაგან ვიყიდეთ,—მაგრამ არავინ ყიდულობდა, ეხლანდელ დროში სინიდისი ვის უნდაო? ავიღეთ და გადავაგდეთ.

ახალი ბელლამი

ბულვარის კორრესპონდენცია

(შემდეგი 20 მარტის კრებულისა *)

მეორე ზედა-სალაყბობს წევრი. ბ-ნს ქარაფშუტაძეს მე სიტყვას ვერ შევუბრუნებ. ეგ ღმერთია კონვერსიისა და როგორც თევზი უწყლოდ, ეგეც უკონვერსიოდ, როგორც თვითონაც ბძანა, ვერ გასძლებს. გარდა ამისა, კაცი მეცნიერების თვალით იყურება და მეცნიერების ყურით სმენილობს და აბა სად მე და სად ეგ. მე ჩემის მოკლე ტკუთი ასე ვრჩობ: თუ უნიკო ჩვენ'ში აგრე ძნელი საშოვარია, სხვისაგან სესხებას ისეც ისა სჯობია ჩვენ'შივე ნიჭიერი ამოვარჩიოთ იმ პირობით-კი, რომ წინადვე ნიჭზე ხელი აიღოს.

ჩიტირეკაა ქარაფშუტაძე: მე წელანვე, როგორც მოგეხსენებამ, უარი ვთქვი, მაგ თანამდებობას ვერ ვიკისრებ-მეთქი, და ეხლა უფრო უარს ვამბობ, რადგანაც მე ჩემს დღეში ნიჭზე ხელს არ ავიღებ, ამის „აღსარებას" ვერ დავსდებ. ამისთანა „აღსარების" დადება „მარტო ჩემს თავეტანებიდგნენ ჰარლამენტის შენობასს, ჭსურდათ მისი დაქცევა, ქუჩებშიჯიხებირები და სანგლები გამართეს. ხუთი-ექვსი დღე ბელგია ამ გვარად ჭდელავდა, ცეცხლსა ჭკრიდა და სისხლს აქცევდა. უკანასკნელად მოსული ამბები გვატყობინებს, რომ გამწვავებული მდგომარეობა ბელგიისა, ცოტად-თუ ბევრად, დასცხრა და ქვეყანა მშვიდდებაო.

მერე რა იყო ასეთის ვაი-ვაგლახის მიზეზი? სულ მცირედი რამ: ხალხს სურვილი არ აღუსრულა მთავრობამ.

ბელგია მცირე სახელმწიფოა, და მეტის მეტად მეჭიდროდ დასახელებული. ერთს ოთხ-კუთხს ვერსზედ ხშირად 9,000 კაცი სცხოვრობს. ბელგიაში მრეწველობა დიდ წარმატებაშია და ამის გამო მომეტებული ნაწილი ერისა ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობს. ბელგიაში ითვლება სულ ექვსი მილიონი მკვიდრი და ამ ექვსის მილიონიდან მხოლოდ 300,000 კაცს აქვს ნება—გაჭეზვნოს პარლამენტში თავისი წარმომადგენელი, დანარჩენნი მოკლებულნი იყვნენ არჩევანების უფლებასა. კენჭის მეჭონენი მომეტებულად მდიდარნი მექარხნენი იყვნენ, მართვა-გამგეობა ქვეყნისა იმათგან გაგზავნილ დეპუტატებს ეჭირათ ხელში, რომელნიც ნაკლებ ჭზრუნავდნენ მუშა ხალხისთვის და საკმარისად სოციალისაც-კი არ უმართავდნენ.

შეკიწროებულ და დაჩაგრულ მუშათა შორის დიდი თანაგრძნობა მოიპოვეს საფრანგეთის სოციალისტებმა. საფრანგეთის მუშათა საზოგადოებამ ბევრჯელ ხელი გაუმართა ბელგიელ მუშებს გაჭირვებაში.

ფელეტონი

№ 9 „ზ ვ ა ნ ა" № 9

* * *

რას ელი, ახტი გმირთ-გმირო,
არჩენის ისმის ხმანია?
კრძლად ჯდომას ჩვეულ როდი ხარ,
ხტუნვით გეიჩვენე გზანია!

არ განახოს მტერმა ძაბუნად,
ვგროვდებით მუნჯნი ყმანია,
მოვდივართ შენდა კენჭოსნად
ზოგთაგან ოთხნი ძმანია.

აშალე აფრა ყბედობის,
ჩვენც შეგაწეოთ ბანია;
ენა ასაქმე უკკუოდ,
არ დგებელოს ყბანია.

ხელთ იგდე კვლავ კონვერსია
წვერ-მახვი, მტერთა ზარია,
ქვეყანამ იცის, რომ იგი
შენი ხმალი და ფარია.

ასის წლის შემდეგ

გუშინ დამეძინ ა და ასის წლის შემდეგ გამომეღვიძა.

ქუჩაში გამოვედი, ქალაქში რაღაც დღესასწაული იყო. ერთს კაცს ხალხი დიდს პატივსა სცემდა, ბუსა და ნაღარას უკრავდნენ და იმ კაცს ქება-დიდებას ასხავდნენ. ვიკითხე, ვინ არის-მეთქი ის კაცი? რა გაუკეთებია ისეთი? სამშობლო დაიხსნა? ქვეყანა გააბედნიერა?

—არაო, მიპასუხეს, ათი მილიონი მოიპარა.

—

სასამართლოში წავედ. ერთს კაცს ასამართლებდნენ. მსაჯულთ ციმბირში გაგზავნა მიუსაჯეს. რა დაშავა მაგ კაცმა? კაცი მოჰკლა? სამშობლო გაყიდა? ქვეყანა გააუბედურა?

არაო, მიპასუხეს, ოთხი გროში მოიპარა.

—

წიგნების მაღაზიაში შევედი. ერთი მშვენიერი, მზეთ-უნახავი ახალ-გაზდა ქალი შემოვიდა.

—კანონის წიგნი მიბოძეთ, ის წიგნი, საცა ცოლ-ქმართა გაყრის შესახებ კანონები სწერია.

გული ჩამეთუთქა.

—ქალ-ბატონო, ეგრე ახალგაზდა ბოლვარის კორრესპონდენცია

(შემდეგი 20 მარტის კრებულისა *)

მეორე ზედა-სალაყბობს წევრი. ბ-ნს ქარაფშუტაძეს მე სიტყვას ვერ შევუბრუნებ. ეგ ღმერთია კონვერსიისა და როგორც თევზი უწყლოდ, ეგეც უკონვერსიოდ, როგორც თვითონაც ბძანა, ვერ გასძლებს. გარდა ამისა, კაცი მეცნიერების თვალით იყურება და მეცნიერების ყურით სმენილობს და აბა სად მე და სად ეგ. მე ჩემის მოკლე ტკუთი ასე ვრჩობ: თუ უნიკო ჩვენ'ში აგრე ძნელი საშოვარია, სხვისაგან სესხებას ისეც ისა სჯობია ჩვენ'შივე ნიჭიერი ამოვარჩიოთ იმ პირობით-კი, რომ წინადვე ნიჭზე ხელი აიღოს.

ჩიტირეკაა ქარაფშუტაძე: მე წელანვე, როგორც მოგეხსენებამ, უარი ვთქვი, მაგ თანამდებობას ვერ ვიკისრებ-მეთქი, და ეხლა უფრო უარს ვამბობ, რადგანაც მე ჩემს დღეში ნიჭზე ხელს არ ავიღებ, ამის „აღსარებას" ვერ დავსდებ. ამისთანა „აღსარების" დადება „მარტო ჩემს თავ-მოყვარეობას არ შეეხება. რომ ასე იყოს, მაშინ კიდევ, როგორც იქნებოდა, ავიტანდი ჩემს დაქვეითებას, მაგრამ აქ თავ-მოყვარეობასთან თავ-შეხნვაა დაკავშირებული" (ბრავო! ბრავო!)

ჭორია ჭორიკანაძე. ბატონებო, დიდი ხანია გეცოდინებათ, რომ მე ქვეყნისათვის თავდადებული კაცი ვარ (ბრავო! ბრავო!). მე ჯერ დაბადებულიც არ ვიყავ, რომ მე დიდი და პატარა ასე მიცნობდა (ხანგრძლივი ტაში). ჯერ ძუძესაც ძლივს ვიყავ მოშორებული, რომ ვინც-კი დამინახავდა, დაიძახებდა ხოლმე: აი ჩვენი ის ეს არისო (ხანგრძლივი ბრავო და ტაშის ცემა). ეხლა ვკითხულობ: ნუ თუ ამ თავდადებისათვის ჩვენ'ში სხვა არავინ არის ღვთივ მირონცხებული! ბ-ნი ქარაფშუტაძე, რომელმაც არა ერთხელ თავი შესწირა, არ ვიცი-კი როდის და რას—არა ერთხელ-მეთქი, ნუ თუ ეხლა არ გაიმეტებს თავის სახელოვანს ნიჭს—არცკი ეს ვიცი სად და რაში გამოუჭენია, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, არ ცოდნა არ ცოდვაა, ნუ თუ არ გაიმეტებს-

*) „ზ ვ ა ნ ა" № 8, „ივერია" 4 აპრილს.

ასეთმა ურთიერთობამ დიდი თანაგრძნობა და სიყვარული დაჭბადა ამ ორ ქვეყნის მუშათა-შორის. ამას გარდა ბელგიელებმა შეითვისეს მოძღვრება საფრანგეთის სოციალისტებისა. მუშებმა დაიწყეს კრებათა მართვა და საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ ჩვენი ნივთიერი მდგომარეობა უნუგეშოა, სამდიდრეთ დაგვჩაგრა, ვსთხოვოთ მთავრობას, მოგვანიჭოს უფლება არჩევანებისა, რომ ჩვენგან ამორჩეულ დეპუტატებმა ზრუნვა არ მოგვაკლონ, ჩვენის ინტერესების დაცვისთვის ხმა ამოიღონ პარლამენტშიო.

ეს იყო მხოლოდ მუშების სათხოვარი. პალატა დიდ ხანს უწევდა მუშებს წინააღმდეგობას, და ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა მუშებმა უწესობა მოახდინეს.

ინგლისის სახელმწიფო კაცთა სიდიადე უმთავრესად ის არის, რომ თავის დროზე დაუთმობენ ხოლმე ხალხს და მანიჭებენ იმას, რის არ დათმობაც, რის მიუნიჭებლობაც ყოვლად შეუძლებელია. განა ნება-ყოფლობით დათმობა არა სჯობიან იმისა, რასაც ხვალ ძალით წაგართმევენ? ეს ბრძნული მოსაზრება დაავიწყდათ ბელგიის მეთაურებს და აკი ამიტომაც დღეს აჩქარებენ მიანიჭონ თავიანთ ქვეყნის მუშებს ის უფლება, რაზედაც უარს ეუბნებოდნენ აგერ შვიდი-რვა წელიწადის.

ისკანდერ

ახალი ამბავი

*** დღეს, ნაშუადღევის 2 საათზედ დანიშნულია წლიური კრება კავკასიის საამპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა.

*** შარშან ხოლერის წინააღმდეგ საბძოლველად სახზინო რკინის გზების მშრომველობას დაუხარჯავს 751,956 მან. 63 კაპ. აქედგან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე დახარჯულა 136,033 მან.

*** 9 აპრილს ნაქურბაქევში, სოფელ დიღომის მახლობლად, მუხრან-ბატონის ფარეხების ზემოდ იხილეს მოკლული კაცი. როგორც მიცვალებულს ეტყობა, ბოროტ-გამზრახველთ კეტით უცემიათ და თავი ოთხგან აქვს გახეთქილი. სახე ისე დასახიჩრებული ჰქონია, რომ ჯერ ვერ უცნობიათ, ვინ არის. გუშინ საქმის გამოსაძიებლად ტფილისიდგან მაზრის უფროსის თანაშემწე მამიკონოვი გაემგზავრა და მიცვალებულის გვამი ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ჩამოატანინა. ჯერ ვერ აღმოუჩენიათ დამნაშავენი.

*** ერთის უნივერსიტეტის ქალაქიდგან მოგვივიდა დიდად სამწუხარო ამბავი: ორი ქართველი სტუდენტი დაუთხოვნიათ ფულის შეუტანლობის გამო. საპიროა ჩვენმა საზოგადოებამ ეურადღება მიაქციოს ამ გარემობას და მზრუნველობა რომ გაუწიოს რუსეთში მყოფს ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ბევრნაირი გაჭირვება აქვთ ტ მათის დახმარებისათვის-კი ჩვენში არაფერია დაწესებული.

*** საზღვარ გარეთიდგან იბარებენ დიდძალ კაკლის კუნძს, რომელიც იგზავნება რკინის გზით ბათუმამდე და იქიდგან, ზღვით—მარსელს.

*** 20 აპრილს გაირჩევა ტფილისის სამოსამართლო პალატაში საქმე „ბალას“, ანუ დემურჩასანანის კუნძულების გამოჯვნის შესახებ. ეს მამული ბორჩალოს მაზრაშია.

*** იმავე დღეს და იმავე სასამართლოში გაირჩევა საქმე «დამგაჯის» მამულისა, რომელიც ბორჩალოს მაზრაშია.

*** ცხინვალი (გორის მაზრა): ცხინვალის ბოქაულმა დაიპატიჟა ციმბირიდგან გამოქცეული ბატონკა (გორგი) ბესარიონის ძე ბროძელი.

*** სოფ. კონდოდი (თელავის მაზრა): კვირაცხოვლობას ჩვენის ეკკლესიის დღეობა იცის. ამ დღეს ეკკლესიაში წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო. უფრო საინტერესო იყო ეს წირვა მით, რომ გალობდნენ აქაურ თავად-აზნაურთა ყმაწვილი ქალები. ხალხი სიამოვნებით ისმენდა გალობას და მადრიელი დარჩა. გალობდნენ ბ-ნთ ონ. ჯ—ძისა და გრ. და ივ. გ—ძეთა და ხმარებით.

*** სოფ. ქარდი (გორის მაზრა): მარტის თხუთმეტიდგან მოკადებული თოვის დამლეგამდე ცუდი დღეები იყო, მაგრამ აპრილმა უარესი დაგვმართა; ლამის წრეულ გაზაფხულს ვერ ვეღირსოთ; ისეთი სიცივე, ყინვა და წვიმებია, რომ თებერვალშიაც არა ყოფილა ამისთანა ამინდი. ამ თოვის ექვსს ისეთი თოვლი მოვიდა, რომ სულ დაჰფარა არე-მარე; ამისთანა უამინდობისა გამო სხვა-და-სხვა ნაირი სნეულება ვაჩნდა, მაგალითად: ანთება, ყელ-ჭირვება, წითელა ტ სხვადი. მეტადრე წითელაა გავრცელებული. წითელა დაერია სკოლის შეგირდებსაც. სკოლის მასწავლებელმა, ფერშალმა და მამასახლისმა დაიარეს ის ოჯახნი, სადაც ავადმყოფი შეგირდები ეგულებოდათ და ხუთს ოჯახში ოცდა-ცხრა წითელითი ავადმყოფი ჰნახეს; მათ შორის შვიდი შეგირდია. თვითო-ოროლანი იხოცებიან კიდეც.

*** ს. ხეთა (ზუგდიდის მაზრა): მეტად ცუდი დარგბია აქედ. ზამთარი ძალიან ცუდი არ იყო, გაზაფხულმა-კი გააჭირა საქმეები. საკვების უქონლობამ და სიცივეებმა ლამის გაგვიწყვიტო, საქონელი.

უამინდობა გვიშლის მამულების შემოშავებას. 8 აპრილს აქედ-იქით სერებზედ დიდი თოვლი მოვიდა. საქონელს აღარა ვჩივით, ჩვენ არ აგვიტეხოს-რა. ოღონდ ასეთმა გაქიანურებულმა უამინდობამ.

*** 31 მარტს ი. დ. ჯანჯუღაზოვის ღვინის სარდაფში, რომელიც ქვაშვეთის ეკკლესიასთან არის, ჩასულა ვიღაც რიგიანად ჩაცმული კაცი, დაბეჭდილი ბარათი გადაუცია სარდაფის პატრონისათვის და უთქვამს: „აბა, ხვალ უთუოდ მზად უნდა იყოსო“. ბარათში უცნობი სწერს ჯანჯუღაზოვს, ხუთშაბათს, 1 აპრილს, უნდა მოხვიდე ხეჩავის დუქანში, რომელიც კოლიუჩი ბალკაშია, შეხვიდე ცალკე ოთახში, მოითხოვო ნახეკარი ბოთლი შუშხუნა წყალი და ლეიბ-კი რაღაცაებსა ჰბოდავს. ბატონებო, თქვენ რადგან პატივი დამდეთ და ამომარჩიეთ, ჩემს მიერაც «აღსარებასა» ვდებ, რომ «ჩვენ ვეცდებით ჩვენსა და ჩვენს მებულვარეთ შორის გრძნობიარე სიმები გავაბათ, იმის სიხარულითან გავიხარეთო, იმის მწუხარებითი შეეწუხდეთ» (ხანგრძლივი ტაში და ბრავო!). მადლობელი გახლავართ, მადლობელი.

ხელჯოხიანთა უსტაბაში: ბატონებო, თქვენ დღეს ასეთი კაცი ამოირჩიეთ, რომ დღეის ამას იქით ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. დღევანდელი არჩევანი იმას გვახარებს, რომ „ჩვენს საზოგადოებას, დიდის ხნიდანვე გონებით დამშეულს, ეს ახალი ბულვარ-ბაში, ანუ პრეზიდენტი მიაწვდენს ახალს გონებრივს საზრდოს, წინ გაუშლის ფურცლებს ახალის მეცნიერებისას“.

ერთი ვიღაცა: რა კარგად გაუზეპირებია დაბეჭდილი სიტყვები! გაუმარჯოს ბულვარის პრეზიდენტს, ჩიტირეკია ქარაფშუტაძეს! გაუმარჯოს!..

ჩიტირეკია: მადლობა მომიხსენებია, მადლობა, ხოლო ერთს რამესა

ხელ-ჯოხიანთა უსტაბაში: უკენჭოდ, უკენჭოდ!

ხალხში ყვირილია: უკენჭოდ, უკენჭოდ!

ბაჭია კურდღელაძე. ბატონებო, ნება მიმოძეთ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

აქეთ-იქით იძახიან: სუ, სუ! სმენა იყოს და გაგონება. ყველანი დაჩუმდნენ.

ბაჭია კურდღელაძე: მეც თანახმა ვარ უკენჭოდ (ხანგრძლივი ბრავო და ტაში. ზოგიერთი: ეგ იყო! ეგ რომ არ ეთქვა, დავიღუპებოდით!)

ჩიტირეკია ქარაფშუტაძე. მადლობა მომიხსენეთია. „ცხოვრების მიმდინარეობა ეხლა ისეთი სადა და უბრალო როდიღა არის, რომ მარტო მცონარეობას დავჯერდეთ“..

მართლაძე (აწყვეტინებს სიტყვას). განა როდის და სად იყო ისე, რომ მარტო მცონარეობას დასჯერებულიყვნენ? ხომ ერთს წელიწადს სულ ყველანი შიმშილით ამოწყდებოდნენ.

ჩიტირეკია ქარაფშუტაძე (თავ-მოწონებულის ლიზღითა). მე მეცნიერების თვალით ვსინჯავ საქმეს და

გთხოვთ: ხმა გავაგდოთ, რომ დღეს, 20-ს მარტს, არჩევანმა თავის ბუნებას უმტყუნა და უნიჭოს მაგიერ დიდი ნიჭიერი კაცი—ჩიტირეკია ქარაფშუტაძე გამოიყვანა ბულვარის პრეზიდენტად. გარდა ამისა ჭორაის ჭორიკანაძეს დავავლოთ, თავის ფოსტა-ღელეგრაფის შემწეობით ყველგან იძახოს და ხმა მიაწვდინოს, რომ მე დიდი მეცნიერი და ნიჭიერი კაცი ვარ.

ჭორაია: ეგ ადვილი სამსახურია. გაუმარჯოს ჩიტირეკიას?

ხანგრძლივი ტაშის ცემაა და ბრავოს ძახილი. ჩიტირეკია ხელში აიყვანეს და დიდხანს ბურთასავით ისროლეს მაღლა, ბრავოსა და გაუმარჯოს ყვირილითა. ორმა ვირმაც საიდღამაც დაიყოლიეს ამ დროს: თურმე მენახშირე მიერეკებოდა ბულვარის ქუჩაზე ამ პატივცემულთ პირუტყვთ, რომელთ შორის ორს სურვილი მოსვლოდა თავისი სიხარული ყოროყინით გამოეცხადებინა.

კრება გათავდა და დაიშალა.

დაბა და სოფელი

ᲣᲐᲠᲘᲐᲜᲗ. ძალიან გვაკვირვებს „ᲒᲝᲠᲘᲡ“ ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠ

ბაკია და ამიტომ სასიხარულოა, რომ მთავრობამ უარ-ჰყო ასეთი ცხოვრებისაგანაც და მეცნიერებისგანაც ათვალწუნებული ბაკია.

„*„ ხუთშაბათს, 8 აპრილს, დილის 6 საათს, ახალ მოსკოვის ქუჩაზედ, ივანე კაპიანცის სახლს ცეცხლი წაეკიდა, რომელიც პირველად გაჩნდა ბ-ნ ჟუდრას სადგურში. ცეცხლი მალე ნაკრეს. სახლის პატრონს ზარალი მოუვიდა 150 მანეთისა, ხოლო ჟუდრას—987 მან. სახლი ყოფილა დაზღვეული 3000 მანეთად, ჟუდრას შენობა—4000 მანეთად. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არავინ იცის.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ-ᲬᲘᲜ, 9 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზე კრება ჰქონდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ბ-ნ შიმანოვსკის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 17—18 წევრი. წაკითხულ იქმნა პეტერბურგის მეფუტკრეთა საზოგადოების წერილი. ამ საზოგადოებას განუზრახავს, ოქტომბერში ორ კვირის განმავლობაში გამართოს პეტერბურგს გამოფენა და ამიტომ სთხოვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას—კავკასიის ნაწარმოები გამოგზავნეთ გამოფენაზედაო. კრებამ გარდასწყვიტა, გაგზავნოს აღნიშნულ გამოფენაზე მეფუტკრეობის მცოდნე ერთი კაცი: ბ-ნი რემეზოვი ან ბ-ნი პრიტულენკო; ხოლო ამ კაცის გზაგზავნი ხარჯი 300 მანეთი სთხოვოს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს. მერე კრებამ შემდეგი საგანი განიხილა.

ყუბანისა და შავის ზღვის ნაპირზედ მდებარე სახელმწიფო ქონებათა მმართველმა ბ-მა ვასილიევმა წარუდგინა კავკასიის სახელმწიფო ქონებათა მმართველს ბ-ნ მედვედიევს ყუბანის მევენახის ბ-ნ ვიატკოვსკის მიერ გაკეთებული ღვინო და სთხოვა, ეს ღვინო გასინჯეთ და თუ კარგი აღმოჩნდა, გამკეთებელი დაჯილდოვეთო. სამეურნეო საზოგადოებამ ეს ღვინო ახლად არჩეულ კომისიას გადასცა გასასინჯად.

მერე კრებამ კიდევ შემდეგი საქმე განიხილა. რამდენიმე წელიწადია, რაც ბაქოსა და განჯას გუბერნიებში ძირკეტილა მოჰყავთ. ამ წარმოების შესახებ ერთს მეურნეს, ბ-ნს ტიმოეევს წიგნაკი შეუდგენია და წარუდგენია სამეურნეო საზოგადოებისთვის. კრებამ გარდასწყვიტა, ეს ბროშურა დაჰბეჭდოს და საზოგადოების წევრთ დაურიგოს.

ბოლოს კრებამ მუისმინა ტფილისის საბაღოსნო სკოლის ამა 1893 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით საბაღოსნო სკოლის მასწავლელების ჯამაგირი 3600 მანეთია, 69 შეგირდების საჭმელ-სასმელისათვის სამოც-სამოცი მანეთი როგორ-ეგრეთ-ეგრეთ, ანუ 4140 მანეთი. ტანსაცმელისთვის 2184 მანეთი და სხვა.... სულ ერთად ხარჯი საბაღოსნო სკოლისა ამ წელს ნაანგარიშევია 17. 764 მ. 84 კაპ. ხარჯთ-აღრიცხვა კრებამ ერთხმად დამტკიცა.

დასასრულ სამეურნეო საზოგადოების წევრთა შორის კერძო მოლაპარაკება გაიმართა იმის შესახებ, რომ ტფილისში გამართონ მეურნეთა კლუბი; ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად საზოგადოების წევრთ გარდასწყვიტეს დღეს, საღამოს 6 საათზე, შეკრებნენ სამეურნეო საზოგადოებისავე დარბაზში.

ᲓᲐᲑᲐᲓᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

(მოწერილი ამბავი)

ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘ, 6 აპრილი. რომ საერთო გაჭირვება პირველად ყველას ერთნაირად არ გვაწუხებდეს, რომ დედინაცვლური მოქმედება სამართლიანობის დარაჯთა ყველას ერთნაირად არ გვაწნაგდეს ზურგში მათრახებს—ვისა სცალიან ამ დროში სალაპარაკოდ, ძმაო რაზმაძეო? შენმა მოკლე წერილმა ბევრი გულ-ასამღერევი რამ გამითვალისწინა ჩვენის მაზრის შესახებ და კალამი ხელში მომამჩეჩა—ამოიღე ხმა, რას გაჩუმებულხარო, ბანი მითხარიო!.. მეც მორჩილ ვიქმენ იდუმალ ხმის სამართლიანს ბრძანებასა. მაშ ყური მათხოვე, ძმობილო, მგონია გვეყო ამოდენა სიჩუმე, თორემ მარხვა სამარმისოდაც არ გაგვიჭიანურონ, ვინ იცის!!...

დღეს რომ სილნაღის მაზრის გლეხობას ჯერაც არ გახსნილებია, მართალს ამბობ, ძმაჯან, რა მეთქმის? ეგ მარხვა თიბოვეშდის გასტანს, გათავებული საქმეა, და აი აქ არის მარჩობელი ფონი? მერე კალია რომ ატყდეს? ზედ რომ ხოლერაც მოჰყვეს? აი საკითხი! ყველა ამას რომ შარშანდელებრივი გვაღვიძ დაუდგეს მის-თიბათვეში, მერე? ნეტავი გაგვაგებინა—ყველა ამ შემთხვევისათვის რა თადარიგი, რა სამზადისი აქვს წინად მოსაზრებული ერის კეთილდღეობის მზრუნველთა გუნდსა, ან რას აპირობს? ამას იმიტომ ვკითხულობ, რომ შარშანდელმა მაგ მზრუნველთა არა ერთმა და ორმა შეცდომამ დიდად ხელი შეუწყო დღევანდელს გაჭირვებულს მდგომარეობას გლეხ-კაცობისას. რომ ცილის წამებად არავინ ჩაგვითვალოს ნათქვამი, მივმართოთ შეძლებისამებრ ცნობილს უტყუარს საბუთებს: 1) შარშან გაზაფხულის პირს სილნაღის მაზრის ყველა გლეხების საზოგადოებათ ჰქონდათ პური, ფეტვი და სხ. ჩირნახული არა ნაკლებ ასი-ათასი ფუთისა, ვგონებ მეტიც. რაღაც მოსაზრებით ეს ამოდენა ჩირნახული უდრო-უდროოდ თითქმის მუქთად იქმნა გადაყრილი. მაისი და თიბათვე ისეთი დროა, როდესაც სოფლად ნადი ფული არ მოიპოვება, და აი სწორედ ამ დროს გაიყიდა იგი ჩირნახული. რად აჩქარდნენ ასე? იქნება პურის შესანახი ბეღლები მოცალეს ახალ შემოსატან პურისთვის? მაგრამ პურის შემოტანაც ღვინობისთვეზე (რთვლის შემდეგ) ადრე რომ არ იწყობა ხოლმე? ამასთან თიბათვის გასულს რომ ჯერ მოსავალი არ არის დაბინავებული ხოლმე არსად? რად მოხდა ჩირნახულის გასყიდვა მოსავლის ჩაკლების ადრე? მერე გლეხობას რომ ფული არ მოეპოვებოდა იმ დროს, რა ჰქმნეს? აიღეს და მდიდარ ოთარაოვს და მის მოძმეებს მიჰყიდეს პური (ფუთი სამ აბაზად). გავიდა ამის შემდეგ ორი თთვე და ნათლად აღმოჩნდა, რომ გვალვებისა გამო პური ძალიან მცირედ მოვიდა და ფეტვ-სიმინდის ხსენება არსად იყო. ფამოუსვეს შემოდგომაზედ და შემოსატან პურის მაგიერ ფული შეატანინეს გლეხ-კაცობას ხაზინაში. მორჩა და გათავდა, აცნობეს ამ ფულის რაოდენობა 100,000 (ასი ათას) მანათამდე: სადაც ჯერ იყო, გაიკრეს მადლობა და გათავდა საქმე! ეს იყო და ეს! ახლა მთელი გლეხობა პირდაღებული ჰკითხულობს—ეს რა ოინი მოგვვიდაო, შინ ბავშვებს რომ გვიშოდა, გარედ ტაბლა როგორ გავიტანეთო, რად ავყევით იმათ, ვინც ჩვენი გაჭირვება არ იცოდაო?

2) ნუკრიანში ასავალი გზა მეტად უხერხულია და თვით სილნაღის ყელში საფლობელი ადგილები მრავლობენ მცირეოდენ ავდრების შემდეგ. ამ გზის გაკეთების ზრუნვა დიდი ხნისაა და აი სწორედ ამ ზამთარს შეასრულეს ეს საქმეც. აიღეს და წმინდა ნინოს მხრივ გაიყვანეს ახალი გზა, ქვიშაც დააყარეს და ვაკედ შეუფართეს ნუკრიანში შარა გზას. მოდი და ნუ იკითხავ: რა ხელი ჰქონდა მაზრის გლეხობას, რომ სილნაღის (ქალაქის) მიჯნის იქით ერთ ვერსზედ მეტი მანძილი კლდე-გორები ანგრია და გზა გაიყვანა (თუ გააყვანინეს)? საქალაქო ბამულზედ გზის გაყვანა თუ გლეხობის საქმეა, ბარემ აიღეთ და სილნაღის ოღრო-ჩოღრო ქუჩებიც ამათ აკეთებინეთ რაღა!..

3) სოფლის გლეხობას რომ ტყავი გასძარა (და დღესაც სძარება) სილნაღიდან ტფილისისა და თელავისაკენ მამავალ გზებზე ქვიშის დაყრისაგან და არხების წმენდისაგან, და შელავათის მიმცემი, შემბრალებელი არსად არის; იგი გზები სილნაღის მიჯნებს გარედ რომ სარაკრაკებელია და მცირეოდენს უსწორ-მასწორობაზედ, ანუ გუბეებისა გამო გლეხებს რომ ფეხებს უბრახუნებენო,—რაღომ ეგრეთივე გულ-შემატკივრობით არ ეპყრობიან სილნაღის ქუჩებს, მაგ. იქ, სადაც იწყობა ნუკრიანის აღმართი (გუთნეული ვერ გამოათრევს ლაფში ჩაფლულს ურმს, ანუ ფურგონს)? რატომ თვით ნუკრიანის აღმართსაც ჰპატრონობენ? მაგრამ რა მალაპარაკებს? მდიდარ სილნაღელების (ანუ ქალაქელის) ჯიბეს მეტი გულ-შემატკივრობა აღმოუჩნდა, ვიდრე გლეხობას....

4) შარშან ზაფხულს ხომ სოფლის გლეხობას პატივის ზვინები და ნაგავი გააზიდვინეთ, მკასა და ლეწვას მოაცდინეთ და მით მცირე მოსავალი უფრო შეუმცირეთ, რატომ სილნაღიშიც ეკრეფე არ მოიქცნენ. სასანტარო ერთმა დასთაგანმა (მ. ი—მა) რომ მდიდარ სილნაღელს ეზოს ნაგვანობაზედ—უსუფთაობაზედ ოქმი შეუდგინა, იგი ოქმი რა იქნა, ვინ დაჰხია ლუკმა-ლუკმად? ბევრგან ეგეეე რად მოხდა და ზოგგან-კი ზურგით აზიდვინეთ ნაგავი? დაბალების სიბინძურე რაღაა, რომ ანაგასა და ვაქირს ქვეით ჭიანტყემდე ჰსცემს იგი სიბინძურე თავის აყროლებულ სუნით-ელფერით? ერთ დროს ერის კეთილდღეობის მზრუნველთა მოქრთამეობის და ვეცხლის მოყვარეობამ (გზაზედ დაყრილი ქვიშა დამპალიაო!) ბაკურციხეში კინაღამ ბართლომეს ღამე არ დაალამა და ბრალიანი და უბრალო ერთიანად წკეპლაში არ გაატარა. კმარა!.. სიფრთხილეა საჭირო, სიფრთხილე გვმართებს.

არა მკითხე მოამბე

„ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ“ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ?

დამბოლოება „იანი“ (ლათინური „osus“) ნიშნავს საზოგადოდ რომელიმე თვისების ანუ საგნის ქონებას,—სვიანი, ცვრიანი, მზიანი, კუდიანი, ქუდიანი, ხელიანი... თითქმის ამასვე ნიშნავს მეორე დამბოლოება — „ოსანი“. „თითქმის“ ვამბობ იმიტომ, რომ „ოსანი“ ნიშნავს არა მარტო ქონებას რამე ნივთისას ანუ თვისებისას, არამედ ამ ნივთთა ანუ თვისებით შემოსვასაც, სულიერ, თუ ნივთიერ: ტყაოსანი, ქუდოსანი, მანდილოსანი, კალმოსანი, ხელოსანი... კალმიანი, მაგალითად ნიშნავს იმას, ვისაც ანუ რასაც აქვს ანუ ახლავს კალამი, კალმოსანი-კი—„კალმის კაცს“, „კალმის ნიჭით“ შემოსილს, მწერალს. თვით ბ. პაატაც არ უარ-ჰყოფს, რომ სიტყვა ნახატი ნიშნავს рисунокъ-ს. უეჭველია, რაღა თქმა უნდა, რომ ხატიც, ნახატიც, ხატვაც, ნახატვარიც და სხვა მრავალი ერთის ფესვის სიტყვებია. როგორადაც და რისგანაც არ აწარმოოთ „ნახატი“, ახლა ის სიტყვის დამოუკიდებელი ნაწილია, არსებით სახელად ქცეული. ზმნიდგან წარმოებული მიმდეობა ხშირად იქცევა არსებით სახელად. ამის მაგალითი მრავალია ყოველს ენაში, მეტადრე ქართულში: Savont, ученый, ნასწავლი. ნახატი, ხატული (ანუ ხატილი, მეგრულად: ხანტირი) ერთი და იგივე მიმღეობაა, მაგრამ ენას ერთისათვის მიუთვისებია საკუთრად იმ ცნების გამოსახვა, რომელიც რუსულად გამოითქმის სიტყვით рисунокъ, изображеніе. ის ქცეული არსებით სახელად, და ვითარცა ყოველს არსებითს სახელს, შეუძლიან მიიმატოს დამბოლოება „იანი“, ე. ი. იქცეს ზედ-შესრულ სახელად: ნახატიანი, ანუ ნახატებიანი („იანი“ შეიძლება მიემატოს მრავლობითსაც და მხოლოობითს რიცხვსაც, თუმც სტილის მხრით უფრო ლამაზად მიმაჩნია ამ შემთხვევაში მხოლოობითი რიცხვი). ნახატიანი ნიშნავს ისეთს რასმე, რასაც ახლავს ნახატი, ანუ სურათი. ამ გვარად ორივე სიტყვა: ხატიცა და ნახატიც (образъ, изображеніе) არსებითი სახელებია. ენას ეს მეორე სიტყვა გაუარსებით-სახელებია იმიტომ, რომ პირველის სახელისათვის მიუთვისებია სრულიად განსაკუთრებული, სპეციალი მნიშვნელობა: ხატით აღუნიშნავს მხოლოდ სამღვთო ნივთი, რომელისამე წმინდანის გამოსახულობა (образъ, икона). სხვა ყოველგვარ გამოსახულობისათვის შეუქმნია სრულიად კანონიერად ცალკე სიტყვა: ნახატი. რომელიმე სიტყვისათვის განსაკუთრებულის მნიშვნელობის ასეთი მისაკუთრება პირობეულია, და მაგის მაგალითიც მრავლისაგან მრავალია. რუსული образъ და образина სულ სხვა-და-სხვაა, და ეს სხვა-და-სხვაობაც პირობეულია. ენას შეეძლო ამ ორის სიტყვის მნიშვნელობა შეენაცვლა, ოღონდ არ აერია ერთმანეთში და ერთისთვის ერთი რომელიმე მნიშვნელობა მიესაკუთრებინა მტკიცედ, მეორესთვის-კი—მეორე. რუსულის სიტყვიდამ кругъ დაკნინებით წარმოებულია ორი სიტყვა: кружокъ და кружка:—ამათი მნიშვნელობაც პირობეულია. ორი სიტყვა შექმნილა ორის სხვა-და-სხვა საგნის აღსანიშნავად და ამიტომ ერთს ერთი სქესი მიუსაკუთრებია, მეორეს მეორე,—მხოლოდ ერთმანეთში გასარჩევად.

თუ არ არსებობს სიტყვა „ნაწოლებიანი“ და სხვა ამ გვარი (რაიცა ბ. პაატას იმის საბუთად მოჰყავს, ვითომც „ნახატებიანიც“ არ ითქმისო), ეს იმიტომ, რომ არ არსებობს ბუნებაში თვით ის საგანი და ცნება, რომელიც უნდა გამოთახატოს ამ ძალით შეთხზულმა, უაზრო სიტყვამ. ამ ლოგიკას რომ ავყვეთ, ძალიან გაგვიადვილდება ბევრის ისეთის რისმე უარყოფა, რაც მართლაც „ცხადზედ უცხადესია.“ მაგალითად, შეიძლება, ავხირდეთ და ვსთქვათ, რომ ზმნა „წერა,“ მართალია, არის ქართულშია, მაგრამ „ნაწერი“ კი ქართულად არ ითქმის, რადგან მ'მინ ზმნიდგან პაატობა (იმის წინააღმდეგი, მაქვს იმედი, არ იქმნებით, რომ ასეთი ზმნა ქართულის ენის თვისებასა და ხასიათს სულაც არ ეუცხოება) უნდა წარმომდგარიყოო სიტყვა ნაპაატობი, რაიცა,—ცხადზედ უცხადესია,—სრული უაზრობაა.

რაც შეეხება ჩვენის ენის სხვა ფორმას: ნა—გოშ—არი, ნა—სახლ—არი (ანუ შემოკლებით: ნასახლი), ნა—სუფრ—ალი, ნა—ხატ—არი, ნა—ნახატ—არი და სხვა, ის აქ არაფერი მოსატანია. არაფერ შუაშია და სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ამ ფორმით გამოხატული ცნება მოასწავებს რაიმე საგნის ნაშთს, ნატამალს, იმას, რაც ყოფილა და აღარ არის იმ ყოფილის სახით. ნახატარი, მაგალითად, ნიშნავს ადგილს სადაც ყოფილა, სვენებულა უწინ ხატი, ან თვით ხატის ფიცარს, სადაც სრულად წაბღაღიულა, წაშლილა ხატის სახე. „ნახატრებიანი“-კი (ბ. პაატას შენათხზიგახლავსთ), რასაკვირველია, სრული უაზრობაა, რადგან ძნელი წარმოსადგენია ამ ქვეყნად ის საგანი, რასაც უნდა აღნიშნავდეს ეს უცნაური სიტყვა.

მაგრამ რა საჭიროა ეს ფილოლოგიური ანბანი იმისთვის, ვისაც ქართულ ენად მარტო თავის პაწია კუთხისა და სოფლის ენა როდი მიაჩნია? რა საჭიროა აქ ჭკუის ძალის-დატანება, როდესაც საქართველოს ერთი ნახევარი, მთელი იმერეთი, ლიხიდამ მოკიდებული ლახისტანამდის, ხმარობს სიტყვებს „ნახატი,“ „ნახატიანი,“ „ნახატებიანი“ და ხალხმა, მდაბიო ხალხმა არც კი იცის უცხო სიტყვა „სურათი?“ აქ ჯიუტური ცილობლობა, ღრეჩა-გრეხა და ნურას უკაცრავად, გრამმატიკის უმეცრული ცოდვილი ვერაფერი თამასუქია.

გრ. ვოლსკი

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐ. პრინც ფერდინანდ კობურგელი სამჯერ იქმნა მიღებული ავსტრიის იმპერატორ ფრანც-იოსების მიერ. ეს ამბავი არავის უკვირდა საიმისოდ. არც რუსეთსა სწყინდა ძალიან: პრინცი კობურგისა ნათესავია ავსტრიის საიმპერატორო გვარეულობისა და ავსტრი-ვენგრიის მთავრობას ყოველთვის შეეძლო ეთქვა, უკეთუ რუსეთი ჩივილსა და დრტვინვას დაიწყებდა, რომ ფერდინანდს

ისე-კი არ იღებს ფრანც-იოსები, როგორც ბოლგარიის მმართველსა და მთავარს, არამედ როგორც ნათესავს. სრულიად სხვა საქმეა ახლა, როცა აუდიენცია ებოძა სტამბულოვს, ბოლგარიის მთავარ-მინისტრს. ავსტრიელ-ვენგრიის გაზეთები ამ ამბავს დიდს მნიშვნელობას აძლევენ. ცხადია, ეს გარემოება ნიშანია იმისი, რომ ავსტრი-ვენგრია ემადლიერება ბოლგარიას, არაფერი არა აქვს-რა წინააღმდეგი იქ დაარსებულის წესწყობილებისაო. რუსში კი ძლიერ ეწყინებათ და ერთს ალიაქოთსაც ატეხს ეს ამბავიო, ამბობენ გერმანიაში. სტამბულოვის მიღება იმპერატორის მიერ დიდად გაჰხარებიათ ვენაში მყოფი ბოლგარიის სახელმწიფო კაცებს. როცა სტამბულოვი დაბრუნებულა იმპერატორისგან, ყველანი სიხარულით შემოჰხვევიან მთავარ-მინისტრს და მიულოცნიათ დიდი გამარჯვება. როგორც კერძოდ შენთვის, ისე ბოლგარიისათვისაც არის ეს ამბავი საბედნიეროვო. ან-კი რატომ არ უნდა მიეცეს იმპერატორს, უთქვამს სტამბულოვს. ჩვენ განა განთლებისა და ცივილიზაციის წარმომადგენელნი და გამავრცელებელნი არა ვართ ევროპის აღმოსავლეთს კვეყნებშიო. ჩვენი ცდა და სურვილი განა სულ ის არ არის, რომ მშვიდობა დავამყაროთ და წარმატებისაზა გავუკაფოთ ჩვენს კვეყანასო? თავის დროზე ამას მთელი ევროპა დაინახავს და დარწმუნდება, რომ კეთილის სურვილის მეტი არა არის-რა ჩვენი ხელმძღვანელიო.

სტამბულოვს ორიოდე სიტყვა რუსეთის შესახებაც უთქვამს. რუსებს რომ სახერხოდ მიჩნდეთ ბოლგარიის დაპყრობა, უცაბედ შეიკვლებოდა რუკა ევროპისაო. მართალია, ჩვენი კვეყანა ჯერ ოფიციალურად თითქო შეწყნარებული არ არის, მაგრამ ეს გარემოება არც დიდად სამწუხაროა. ჩვენ არავინ არ გვშლის ისე ვიმოქმედოთ, როგორც ჩვენთვის სასურველია, და რა საჭიროა, რომ უთუოდ ფორმალურად არ იყოს შეწყნარებული ბოლგარიაო.

გასართობი

ᲤᲣᲚᲘ

მის ჰქვდ, რაც ფული გაჩნდა, ეკლა ქალებში ადამიანი ფულზედ დაზერდაგდა: ზოგან თუმნად, მანთად, აბაზად, შაურად; ზოგან სტერლინგად, ფრანკად, მარკად.. კაცი გროშებად გადაიქცა.

— რა არის ადამიანი?

— თუ ჯობენი 100,000 მანათი გაქვს, მშვენიერი კაცი ბრძანდები. ამ ფულს წელიწადში 50,000 მანათს თუ მოაგებინებთ, ჭკვიანი კაციც იქნებით; თუ უსაზღვროდ ჭხარჯავთ ფულსა, სასაამონო კაციც ხარო, თუ ლარაბებს $^1/_2$ მანათი შესწერეო, კეთილი და ქვედ-მაქმედაც; თუ თქვენს მასწავლებლებს შეობლებსა დად-ძალი ფული მისცეს, ნასწავლი კაციც გამოსვალო.

ფული, ფული და ფული...

— სიძაგელი კაცია, ერთსელ ფული კერა ენახე მაგის ჯიბეში!

— უსინდისოა, ეროთი წელიწადა თუ-მანი ჭმართებს და ჰქმდე არ მოუცია!...

ადამიანობა—ფულიანობაა. კაცი ფულის სულ-ფესვია, ფულის მონა. ფული დასვარნას, დაეპეს ერომანეთს, ერთასიკან—მეორესთან მიდის და თქვენ-კი ძარტა ამ სეარნობას და ფულის ტრიალს უყურებთ

ირქმედისა, სოკრატისა, ბაირონისა და ედისონის ჭკუა და ნიჭი რომ მოგცთ, და ჯიბეში-კი არაფერი, ეარწმუნებთ, თქვენს ნიჭეთ კერს გახდებით. ვინ არის უფფლო კაცი, რა არის, რა შეუძლიან? არაფერი.

ᲞᲔᲢᲠᲔ თეკლეს ერთიანსა. ხა!-ხა!-ხა! ᲞᲔᲢᲠᲔ კი არ ერთიეს თეკლეს, ათიათასი მანათი ოცი ათას მანთის ერთიეს.

ᲞᲔᲢᲠᲔᲡ რომ ათი-ათასი მანათი არა ᲰᲥᲛᲜᲓᲔᲡ, თეკლე ტოლად არ გᲐᲭᲔᲣᲜᲝᲓᲐ. თეკლეს რომ ოცი ათასი მანათი არა ᲰᲥᲛᲜᲓᲔᲡ, ᲞᲔᲢᲠᲔ ᲖᲔᲓᲐᲪ არ შესდაეკდა.

მაშ რა ეოფილან ᲞᲔᲢᲠᲔ და თეკლე? არაფერი. ᲰᲥ ფული ერთიეს ფულსა, ეკ. ი. 10,000 მანათი ერთიეს 20,000 მანათს. ეანა ხართ თქვენ? ეი თქვენი ბიოგრაფეა. ფული და შემდეგ რომ არ ᲰᲥᲛᲜᲓᲔᲡ მამითქვენს, იქნება ირტ-კი დასდებულიყოთ. ბეჰია, რომელმაც სანათლე დაგანასეკ, მამა თქვენის სახლში ფეხსაც არ შემოსდგამდა უფფლოდ. მერე წამოიზრდეთ, თამაშობთ, ცელქობთ, ტანსაცმელს გლეკეკეთ, ეკ. ი. გლეკეკეთ მამითქვენის შრომით მონაგარს მანეოებსა. მერე მამა თქვენი ფულსა ხარჯავდა თქვენს სწავლაზედ. სკოლაში მანათიანი მოᲰᲥᲛᲜᲓᲐ და გასწავლიდნენ ბერძნულს—ლათინურს.

ფულს იმიტომ ეᲮᲐᲠᲯᲐᲕᲓᲐ თქვენზედ მამა თქვენი, რომ ჩემმა შეიძლა ფულის მოგება შეიძლოსო.

დაცოდშეიდეთ. ფულს შოუფლობდით ტოდ-შეიდისთეის. მერე გარდაეცვალეთ კედეტ. იცით, რასა ფეძრობენ მაშინ თქვენი ნაოესაკეი? დასამარხა ფული სად ეიშოკოთო ? რა ᲒᲙᲔᲨᲔᲣᲫᲚᲐ? კიდა ᲒᲙᲔᲣᲫᲚᲔᲑᲐ ეხლა ფულის მოგებაო?

ეს წერილი რაკაა,—ფიდოსოფეაა, სასუფველეა, თუ რა?

ფული გასწავლეთ ბატონო, ᲞᲔᲢᲠᲔ არაფერი—ფულეა.

ბ-ნო რედაქტორო, ᲐᲐᲐ ამ გასართობში ეონორარი მაბოძეო!..

???

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

9 აპრილი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ნება-დართულ იქმნა უბაკოდ შემოტანა სამზღვარ-გარეთიდამ სადეზინფექციო აპარატებისა მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა მიერ.

გუშინ დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის თანადასწრებით დაიწყეს აგება ორ-კოშკიან ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜ ხომალდისა სამზღვრების დაცვისათვის. ხომალდს ეწოდება „ადმირალი სენიავინი.“

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ.

	მოდგ. ლოს.	გაყიდ. ლოს.	ბეჭდ. ლოს.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ᲮᲣᲗᲘ-ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲥᲠᲝ	7,61	7,63	— ,,
ᲢᲠᲐᲛᲕᲘᲡᲘᲡ ᲙᲣᲞᲝᲜᲘᲡᲒᲐᲜ	152$^1/_2$	153$^1/_2$	— ,,
ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲕᲔᲠᲪᲚᲘᲡᲘ			
ᲤᲣᲚᲘ	— ,,	1,16	— ,,
5% ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲘ ᲨᲔᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘ			
ᲚᲘᲜᲘᲐᲜᲘ	242$^1/_4$	— ,,	— ,,
ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ	— ,,	— ,,	220$^3/_4$
4% ᲛᲔᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲝᲡ . . .	— ,,	— ,,	— ,,
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲜᲐᲕᲐᲠᲗᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘ. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ . .	— ,,	— ,,	195$^1/_4$
ᲒᲠᲘᲜᲒᲠᲘᲜᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲛᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ:			
6%	— ,,	102	— ,,
5%	— ,,	100$^1/_4$	— ,,
ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 6% .	— ,,	102	— ,,
5%	— ,,	100$^1/_4$	— ,,
5% ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	— ,,	— ,,	99$^1/_4$

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

ᲑᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐᲜ. ძალიან გინდათ შეგატყობინოთ თქვენის ლექსის ბეჭდი და აი ვაასრულებთ თქვენს სურვილს. თქვენ უძღვნით ლექსს „იმ ორს“, ხოლო ჩვენ „იმ ერთს“—რედაქციის „კალათს“.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐ „ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲐ“ ᲚᲘᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲪᲣᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲝᲑᲘᲗ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ

ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში, ბლომად დაკეთდა შეიძლება

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ

ᲡᲐᲢᲔᲡᲮᲝᲝ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡᲒᲐᲜ

С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37.

ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲘᲜᲔᲒᲣᲨᲘ

კ. თავართქილაძის ახალ სტამბაში დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებს, სადაც-კი ქართული წიგნები ისყიდება, შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

1) „ჩანგი“, პირველ გამოცემიდან გადმობეჭდილი და მრავალი ახალი ლექსების და სცენების დამატებით, მშვენიერი ყდით, ფასი 1 მ.

2) „გამიჯნურებულ ქალ-ვაჟის მიწერ მოწერა“, ვინმე მესხისა, 5 კ.

3) „არსენას ლექსი“ სურათით 5 კ.

4) „ვეფხის-ტყაოსანი“, მეორედ გამოცემული ქ. ოზურგეთში, გასწორებული, მოკლე ბიოგრაფიით და სურათით, 40 კაპ.

5) „რამდენმე მოთხრობა“, ნინოშვილისა, 50 კ.

6) „სიმონა“ მისივე 30 კაპ.

37) „ზანგის სამკეიდრო“, თარგმანი დათიკო ვერმიცანაშვილისა, 10 კ. და სხვა-და-სხვა წიგნები.

ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲝ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘᲡᲐ ᲡᲔᲥᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡᲐ, ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲗᲐᲛᲑᲐᲩᲘᲡᲐ, ᲡᲘᲘᲘᲡᲐ, და ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ყოველ ზემოხსენებულის ᲡᲔᲥᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყოფაინისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—17) წარმომადგენელი კავკასიაისათვის დ. ქ. თუთაკეი

ᲡᲐᲣᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲚᲘᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡᲐ

(L'URBAINE)

„ᲣᲠᲑᲔᲜᲘ“

უმაღლესად ნება ჰქვს დართული 2 აგვისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 ივნკარს 1891 წელს საზოგადოებას ᲰᲥᲛᲜᲓᲐ თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ᲣᲠᲑᲔᲜ“-მა 1890 წ. სავრანგეთში და კერძოს სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ,
ნევის პრეზიდეტი,
№ 13.

საზოგადოება „ᲣᲠᲑᲔᲜᲘ“, ნაცვლად მოგების მიტანისა, დაზღვეულთ აკადმყოფობის დროს ანაკეთუფლებს კადეანს გარდასახადისაგან და ბოლანის-კიძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დაზღვევა და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—8)

ᲜᲣ ᲨᲘᲓᲣᲚᲝᲒᲘ ᲝᲚᲔ-ᲕᲐᲖᲔᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲘᲐᲚ-ᲙᲝᲜᲒᲝ

რომელსაც გასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს გამომგონებისაგან

Ე. ᲑᲝᲚᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲝ ᲡᲐᲒᲐᲜ

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘ!



ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘ!

ჩვენ იძულებულ ვართ თითოეულ ნაპერს ოლე-ვაზელინის „ᲠᲝᲘᲐᲚ-ᲙᲝᲜᲒᲝᲡ“ საპონს გასაფრთხილებელი ნიშნები გაუკეთოთ, რადგან აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც აკეთებენ ჩვენის საპნის მიმსგავსებულს ეტიკეტითაც და სხვაფრივაც.

Ე. ᲑᲝᲚᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲝ

ადრესი: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ.

იყიდება ყველა საუკეთესო პარფიუმერიის და სააფთიაქო მაღაზიებში. (4—2)

ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲪᲔᲪᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

დაზღვევა ცეცლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

საგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყოფაინისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—14) აგენტი დ. ქ. თუთაკეი

Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Апрѣля 1893 г. სტამბა Ვ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲫᲔ.